

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში თქვენთვის სასურველ პროგრამაზე 2016-17 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის საშუალებით ერთი ფაკულტეტიდან მეორე ფაკულტეტის სასურველ პროგრამაზე გადასასვლელად უნდა გაიაროთ შემდეგი ეტაპები

1. 2017 წლის 17 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით უნდა მიმართოთ თსს აკადემიის კანცელარიას განცხადებით სასურველ პროგრამაზე გადასვლის თხოვნით.

2. 2017 წლის 1 აგვისტოს დასრულდება საბუთების განხილვა;

თსსა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-13 მუხლის შესაბამისად, შიდა მობილობის დროს სტუდენტებს ეძლევათ უფლება საკრედიტო დავალიანების შემთხვევაშიც გადავიდნენ სხვა ფაკულტეტზე.

3. სპეციალობის გამოცდები სხვადასხვაა გამომდინარე პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობიდან. გამოცდები ან გასაუბრება შედგება 2017 წლის 4 აგვისტოდან 8 აგვისტოს ჩათვლით.

4. თუ თქვენ წარმატებით გაიარეთ სპეციალობის გამოცდა ან გასაუბრება, თქვენი გადასვლის შესახებ ბრძანება გამოიცემა არაუგვიანეს 2017 წლის 10 აგვისტოს.

შენიშვნა: სტუდენტებს, რომლებიც სარგებლობენ „სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამით“ და შესაბამისად არიან უფასო ადგილზე, მობილობით სარგებლობის შემთხვევაში სწავლას განაგრძობენ ფასიან სექტორზე! დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით

ცხელ ხაზზე: **2-93-68-89**